მე-5 კლასი

ნაწილი I - გრამატიკა

1. რომელია ზედსართავი სახელის კითხვა?

   ა) როგორი? ბ) რამდენი? გ) სად?

2. რაოდენობითი რიცხვითი სახელი გვაქვს:

   ა) გარკვეული ბ) გაურკვეველი გ) ერთიც და მეორეც

3. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

   ა) დიდი სახლის აივანზე სავარძელში ჩამჯდარ ბაბუს ტკბილად ეძინა.

   ბ) მხიარულობდენ ზღვაში მოცურავე დელფინები.

   გ) ყველაფერი კარგად აეწყო და კესანეც მთაში გაემგზავრა.

ნაწილი II - ლექსიკა /ფრაზეოლოგია

4. რომელია სწორად დაწერილი?
   ა) ხატოვნით ბ) ხატოვნათ გ) ხატოვნად
5. ავტობიოგრაფია ნიშნავს:
   ა) სხვისი ცხოვრების აღწერას
   ბ) საკუთარი ცხოვრების აღწერას
   გ) მხოლოდ ლექსების გადმოცემას
6. რას ნიშნავს ფრაზეოლოგიზმი: „ქვა ააგდო და თავი შეუშვირა“?
   ა) გაბრაზდა ბ) შეწუხდა გ) გაჯიუტდა

ნაწილი III - წაკითხულის გააზრება

ნაკადული

„მიყვარს ნაკადული, პატარა, ანკარა, ღუღუნ-ჩუხჩუხით ტკბილად მომავალი თავის ვიწრო, ათასფერად აყვავებულ საწოლში.

მიყვარს იმისი კიდეები, დაბალი და მსუქანი ბალახით შებურვილი და ამ ბალახში მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.

მიყვარს ნაკადული, დილით, როდესაც მის პატარა ტალღებში ამომავალი მზე ალმაცერად აციმციმებს და პირს ბანს თავის ბრწყინვალე სხივებს.

მიყვარს ნაკადული მთვარიან ღამეში, როდესაც იმისი ტკბილი ღუღუნი ღამის მუდროებაში ერთი ათასად უფრო ტკბილდება. მთვარის მკრთალი ნათელით ოქრო-ვერცხლდება და დაღონებული ადამიანის გულს და თვალს სიმშვიდით და სიმშვენიერით

ეფერება.

მიყვარს ნაკადული მაშინაც კი, როდესაც ავდრის შემდეგ შუბლს შეიკრავს, ფერს გამოიცვლის და ხმამაღლა რიხიან ბაასს დაიწყებს.

მაგრამ ყველაზე უფრო ნაკადული მე იმისთვის მიყვარს, რომ ის არის სიცოცხლის მომასწავებელი, გამაცოცხლებელი, სულისჩამდგმელი, ედემად მქცევი გამხმარი შავი დედამიწის გულისა. მიყვარს იმიტომ, რომ ნაკადულს, ტკბილ მოღუღუნეს, ვერცხლისებრ ბრჭყინვალეს და დედოფლურად ტურფად მოკაზმულს ძალუძს, ააყვავილოს მიდამო და ბუნებას სული ჩაუდგას და ადამიანის საზრდოდ გადააქციოს.“

7. რას ნიშნავს „ ათასფრად აყვავებული საწოლი“?

   ა) კალაპოტს ბ) ადამიანების ყიჟინას გ) მთების მშვენიერებას

8. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ფრაზაში:
   „მარგალიტივით გაბნეული თეთრი გვირილები.“

   ა) გაპიროვნება ბ) შედარება გ) გაზვიადება

9. პირველად ნაკადულის პატარა ტალღებში:

   ა) პირს იბანს მზე ბ) პირს იბანენ ყვავილები გ) პირს იბანენ ადამიანები

10. ვის თანაუგრძნობს ღამის ნაკადული?

   ა) ყველას, ვისაც სურს ბ) დაღონებული ადამიანის გულს. გ) გახარებულ მთვარეს